

ბრძანების პროექტი

თბილისი

№ 562/03

28 სექტემბერი 2015წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების“ მე-14 მუხლის შესაბამისად და “აბიტურიენტებისათვის/სტუდენტებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 22 სექტემბრის №1053 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს დომინიკის თანამეგობრობის მოქალაქე ადრიანა დიანა ფრანსიზ.
- II. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2015 წლის 30 ნოემბრამდე.
- III. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, თსსუ-ის უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას.

- IV. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.
- V. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს დ. თოფურიას, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს დ. დელიბაშვილს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.
- VI. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

რექტორი